



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

პოლიტიკის ნარკვევი | 2017 აპრილი

კერძო-საჯარო დიალოგი კანონპროექტების შემუშავების საწყის ეტაპზე





ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

შინაარსი:

შესავალი

ჩართულობის დაბალი
ხარისხის მიზეზები

რატომ არის ჩართულობა
მნიშვნელოვანი?

კერძო-საჯარო
დიალოგის არსებული
პრაქტიკის გამონწვევები

რეკომენდაცია:
კერძო-საჯარო
დიალოგის გზამკვლევი

ნარკვევის მომზადებაზე
შუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი

თამარ იაკობიძე

ნინო მერებაშვილი

ალექსანდრე ქევიციანი

პოლიტიკის ნარკვევის მიზანია, გამოკვეთოს კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის მნიშვნელობა საჯარო პოლიტიკის შემუშავების საწყის ეტაპებზე, კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებების პარლამენტში ინიცირებამდე, მასში ასევე მოცემულია ამ დიალოგის წარმატებით ჩატარების მცირე გზამკვლევი.

შესავალი

საქართველოში საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში კერძო და სამოქალაქო ჩართულობის არც ისე ბევრი სამართლებრივი მექანიზმი არსებობს.¹ ვითარება შედარებით უკეთესია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე,² სადაც არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეების მონაწილეობის ისეთი ფორმები, როგორცაა დასახლების საერთო კრება, პეტიცია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ა.შ. ცენტრალურ დონეზე მდგომარეობა შედარებით უკეთესია კანონპროექტის პარლამენტში ინიცირების შემდეგ,³ როდესაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, როგორც კომენტარის დატოვება, ისე სხდომებზე დასწრება.

ჩართულობის დონე ყველაზე დაბალია კანონპროექტის პარლამენტში წარდგენამდე პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ყველაზე მეტად არის შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა. როგორც წესი, ამ ეტაპზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მხოლოდ გამონაკლის

შემთხვევებში ხდება. ამას ადასტურებს IDFI-ის ერთ-ერთი კვლევა,⁴ რომლის მიხედვითაც, 2014-2016 წლებში ინიცირებული ეკონომიკურად მნიშვნელოვანი 24 კანონპროექტიდან მხოლოდ 6 შემთხვევაში არსებობდა კერძო სექტორის მაღალი ხარისხის ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების საწყის ეტაპებზე.

კერძო-საჯარო დიალოგი (Public-Private Dialogue, PPD) ეწოდება საჯარო და კერძო სექტორებს შორის პოზიციების გაცვლას საჯარო პოლიტიკის (მაგ. საკანონმდებლო ცვლილებების, რეგულაციების ა.შ.) შემუშავების პროცესში. ეს ტერმინი არ უნდა გაიგივდეს **კერძო-საჯარო პარტნიორობასთან** (Public-Private Partnership, PPP) რაც გულისხმობს პროექტების ერთობლივ დაფინანსებას ან კერძო სექტორის სხვა მხრივ თანამონაწილეობის ფორმას.

საჯარო სექტორში იგულისხმება საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ისეთი დანესებულებები, როგორცაა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება.

კერძო სექტორი მოიაზრებს ისეთ არასახელისუფლებო ჯგუფებს, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოება, ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემია, ექსპერტები ა.შ.

1. ევროპის საბჭო, სამოქალაქო ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, 2016, ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/MpHAEX>

2. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები, ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/ZHეFF>

3. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გზამკვლევი, ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/ge/guide/guide/>

ჩართულობის დაბალი ხარისხის მიზეზები

1 კანონპროექტების ავტორები ვერ აცნობიერებენ ჩართულობის მნიშვნელობას და საჭიროებას

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ჩართულობა სახელმწიფო დონეზე გაცხადებული პოლიტიკის ნაწილია და მის მნიშვნელობას ნებისმიერი საჯარო მოხელე უსვამს ხაზს, პრაქტიკაში ის არ ხორციელდება, რადგან საქართველოში დემოკრატიული ფასეულობები არ არის სათანადოდ დამკვიდრებული.

ამას გარდა, როგორც *IDFI-ის კვლევამ*⁵ აჩვენა, არის შემთხვევები, როდესაც პარლამენტის დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ მათი მანდატის გამო ნაკლებად საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების საწყის ეტაპებზე სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა.

2 კერძო-საჯარო დიალოგი არ არის სავალდებულო

გარდა საკონსტიტუციო ცვლილებებისა, არ არსებობს პირდაპირი სამართლებრივი ვალდებულება იმისათვის, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორებმა გაიარონ კონსულტაცია

იმ კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფებთან, ვისზეც ახალი ცვლილებები პირდაპირ გავლენას მოახდენს.

3 არ არსებობს კერძო-საჯარო დიალოგის საერთო ჩარჩო და განვრილი პროცედურები

არ არსებობს სტრატეგია ან სახელმძღვანელო დოკუმენტი გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის საჯარო პოლიტიკის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობისთვის.

4 კანონპროექტის ინიციატორებს არ აქვთ საკონსულტაციო პროცესის წარმართვის საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები

პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეებს შორის აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივია. ამიტომ, მნიშვნელოვანია, არსებობდეს პროცესის ნეიტრალური მოდერატორი, რომელიც გაითვალისწინებს დაპირისპირებულ ინტერესებს და თითოეულ მხარეს მისცემს საკუთარი პოზიციის წარმოჩენის შესაძლებლობას.

იმისთვის, რომ ჩართულობა არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და იყოს შედეგზე ორიენტირებული, საჭიროა, მოდერატორს სწორად შეეძლოს დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა, კონსულტაციების წარმართვა, ნდობის მოპოვება, უარის დასაბუთება მიღებულ კომენტარებზე, საპირისპირო ინტერესების და მოსაზრებების დაბალანსება და ა.შ.

საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, ამ როლს ითავსებენ დონორი ორგანიზაციები, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, აუცილებელია, ეს უნარ-ჩვევები ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოიმუშაონ.

მწვანე და თეთრი წიგნები - კერძო-საჯარო დიალოგის საერთაშორისოდ მიღებული ჩარჩო

ევროკავშირში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-სა და ერთა თანამეგობრობის ქვეყნებში მიღებულია ე.წ. მწვანე და თეთრი წიგნების (green paper, white paper) პრაქტიკა.

მწვანე წიგნი (Green paper) - ეს არის მთავრობის მიერ შექმნილი საკონსულტაციო დოკუმენტი, რომლის მიზანია საჯარო პოლიტიკის გარშემო დისკუსიის დაწყება. მწვანე წიგნი არ მოიცავს კონკრეტული ქმედებების ვალდებულებას, ის შეიძლება შეიცავდეს პრობლემის მოგვარების რამდენიმე ალტერნატიულ გზას. მწვანე წიგნი შექმნილია იმისთვის, რომ საზოგადოებას ქონდეს საშუალება, გაეცნოს არსებულ პრობლემას და იმსჯელოს მისი მოგვარების გზებზე. მწვანე წიგნმა შესაძლოა წარმოშვას საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება, რაც შემდგომ იწვევს ე.წ. თეთრ წიგნში.

4. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების პირველი წლიური ანგარიში (2014-2016), ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/Gj1kR>

5. იქვე

თეთრი წიგნი (White paper) – ეს არის კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებების შემცველი საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. მწვანე წიგნისგან განსხვავებით, თეთრი წიგნი შესაძლოა შეიცავდეს დაგეგმილი კანონის ან ცვლილებების პროექტს. თეთრი წიგნი არის დაინტერესებულ ჯგუფებთან შემდგომი კონსულტაციებისა და დისკუსიის საფუძველი. კონსულტაციების შედეგად თეთრი წიგნი შესაძლოა შეიცვალოს პარლამენტში ფორმალურად ინიცირებამდე.

რატომ არის ჩართულობა მნიშვნელოვანი?

რამდენიმე მიზეზი არსებობს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი დაინტერესებულ პირთა მარტივი ჩართულობა კანონ-პროექტების შემუშავების სანაწიხ ვტაპზე:

უფრო ეფექტური პოლიტიკა:

არსებული პრობლემისა და მისი მოგვარების გზების შესახებ ყოველთვის მეტი ინფორმაცია აქვთ პირდაპირ სამიზნე ჯგუფებს, ამ ჯგუფებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე ბიზნესისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს. შესაბამისად, პრობლემა უფრო ეფექტურად მოგვარდება, თუკი საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულნი იქნება სწორედ ის პირები, ვისაც ეს პრობლემა უშუალოდ ეხება.

მეტი ხელშეწყობა და ნდობა

განხორციელების ვტაპზე:

როდესაც სამიზნე ჯგუფები არ არიან ჩართული პრობლემის ალტერნატივების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იზრდება მათი უნდობლობა ამ პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმული ნაბიჯებისადმი. ეს კი ართულებს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების პროცესს.

კანონშემოქმედებით პროცესში

ჩართულობა უფრო რთულია:

პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილების ინიცირების შემდეგ დაინტერესებულ პირთა ჩართულობა უფრო რთულდება, რადგან ამ ვტაპზე

ავტორებს ნაკლები მოტივაცია აქვთ სერიოზული ცვლილებები შეიტანონ კანონპროექტში, ხოლო მონაწილეობის მიღება მხოლოდ ყველაზე ორგანიზებულ, ინფორმირებულ და სამართლებრივად მომზადებულ პირებს შეუძლიათ.

კერძო-საჯარო დიალოგის არსებული პრაქტიკის გამოწვევები

საქართველოში კერძო-საჯარო დიალოგის დღეს არსებული მცირე პრაქტიკა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზით ხასიათდება, რომელიც ნდობას უკარგავს მთელ პროცესს. გარდა ამისა, ეს ხარვეზები მოტივაციას უკარგავს დაინტერესებულ მხარეებს, ჩაერთონ კანონპროექტების შემუშავების საწყის ეტაპზე.

დაინტერესებული მხარეების

არასრულყოფილი მოძიება:

დაინტერესებული მხარეების გამოვლენის დროს, კანონპროექტის ავტორები ყოველთვის არ ცდილობენ, მოიცვან საზოგადოების რაც შეიძლება ფართო სპექტრი, მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა.

არაეფექტური კომუნიკაცია:

დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმირებისთვის შერჩეული გზები ყოველთვის არ არის ეფექტური, მაგ. ინფორმაციის მხოლოდ ვებგვერდზე განთავსება არასაკმარისია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ასევე, არ კმარა ერთჯერადი კომუნიკაცია; მხარეებს მუდმივად და სხვადასხვა არხებით უნდა მიეწოდებოდეთ ინფორმაცია შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

დოკუმენტების არასაკმარისი

საჯაროობა:

არ არსებობს ვალდებულება, რომ გამოქვეყნდეს კანონპროექტის მომზადების პროცესში (პარლამენტში ინიცირებამდე) შექმნილი ან გამოყენებული სამუშაო დოკუმენტები, მათ შორის კანონპროექტის სამუშაო ვერსია. საუკეთესო შემთხვევაში, ეს უნდა ხდებოდეს ელექტრონულად.

პასუხისმგებელი პირის არარსებობა:

აუცილებელია, კანონპროექტის ავტორმა საჯარო უწყებამ შეარჩიოს პირი ან პირები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაზე, ინფორმაციის და დოკუმენტების საჯაროობაზე, დიალოგის პროცესის წარმართვაზე (მოდერაციაზე), მიღებული კომენტარების შეგროვებასა და მათზე დასაბუთებული პასუხის გაცემაზე, და ა.შ.

დაინტერესებული მხარე

ნებისმიერი პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც ახდენს გავლენას გადაწყვეტილებებზე, პოლიტიკასა და ქმედებებზე;

ასევე, ის პირი ან პირთა ჯგუფი, რომელზეც ასეთი გადაწყვეტილებები, პოლიტიკა და ქმედებები ახდენს გავლენას.

დაუსაბუთებელი უარი:

საჯარო უწყებებს, ისევე როგორც პარლამენტის დეპუტატებს, არ გააჩნიათ ფორმალური ვალდებულება, მოამზადონ და გაასაჯაროონ ანგარიში იმის შესახებ, თუ რომელი შენიშვნა იქნა ან არ იქნა გათვალისწინებული საჯარო კონსულტაციების შედეგად, და რატომ.

გადანწყვეტილების მიღების

პროცესის დახურულობა:

ხშირად, დაინტერესებულ მხარეებთან მონყობილ შეხვედრებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებები მათთვის დახურულ კარს მიღმა მიიღება. ამიტომ, აუცილებელია, შეიქმნას გადაწყვეტილების მიმღები უფრო მცირე შემადგენლობის ჯგუფი, სადაც დაინტერესებული მხარეების იქნებიან წარმოდგენილი.

საჯარო განხილვის არარსებობა:

პარლამენტში ინიცირებამდე შემუშავებული კანონპროექტის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის იშვიათად ხდება; ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ავტორები აკეთებენ დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილების პრეზენტაციას, ხშირად არ ხდება დამატებით მიღებული კომენტარების განხილვა.

რეკომენდაცია: კერძო-საჯარო დიალოგის გზამკვლევი

- I. საკანონმდებლო ცვლილებაზე მუშაობის დაწყებამდე საჯარო დაწესებულება უნდა დაუკავშირდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს, შეატყობინოს მათ მუშაობის დაწყება, გაუგზავნოს მათ დამხმარე დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში) და მოიწვიოს ისინი სამუშაო შეხვედრაზე. ამისთვის, მან უნდა გამოიყენოს კომუნიკაციის ყველა შესაძლო საშუალება: საკუთარი ვებგვერდი, ელ-ფოსტა, პრესა, მედია, სოციალური ქსელები, პირადი შეხვედრები და ა.შ.
- II. დაინტერესებული მხარეები შეიძლება იყვნენ: არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესი, აკადემიური წრეები, საკითხის ექსპერტები, ეკონომისტები, იურისტები, დონორი ორგანიზაციები, ის, ვისაც საჯარო პოლიტიკის პრობლემა უშუალოდ ეხება, სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ.
- III. დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეცეთ საკმარისი დრო ინფორმაციის მიღებიდან კონკრეტული დისკუსიის ან შეხვედრის გამართვამდე. დრო მეტი უნდა იყოს, თუ დაინტერესებულ მხარეებს გაეგზავნათ კვლევა, ანალიზი ან სხვა სახის ოფიციალური დოკუმენტაცია.
- IV. დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის მისაღებად საჯარო დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს საჯარო დისკუსიები, ელ-ფოსტა, ვებგვერდი, ონლაინ კონსულტაციის ფორმები, პირადი შეხვედრები და ა.შ.
- V. დაინტერესებული მხარეები ჩართულები უნდა იყვნენ გადანყვეტილების მიღების პროცესში. ამისთვის, უნდა შეიქმნას წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მიიღებს გადანყვეტილებებს შენიშვნების გათვალისწინების შესახებ.
- VI. დაინტერესებულ მხარეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ საკითხთან დაკავშირებით არსებულ კვლევებზე, ანალიზებზე და ოფიციალურ დოკუმენტაციაზე. საუკეთესო შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებას საკუთარ ვებგვერდზე უნდა ჰქონდეს სპეციალური განყოფილება მიმდინარე კანონპროექტების შესახებ, სადაც კომენტარების დატოვება იქნება

შესაძლებელი, ასევე, გამოქვეყნდება სამუშაო დოკუმენტები და გამოცხადდება შეხვედრის დროები.

VII. საჯარო განხილვებსა და შეხვედრებში მონაწილეობას უნდა იღებდნენ შესაბამისი გადანაცვტილების მიმღები პირები (მაგალითად, როგორც მინიმუმ მინისტრის მოადგილე) საჯარო სექტორიდან, რათა შედგეს ორმხრივი დიალოგი.


VIII. უნდა ხდებოდეს კერძო სექტორიდან მიღებული კომენტარების აღრიცხვა. საჯარო დაწესებულებამ, ერთი მხრივ, უნდა შეარჩიოს კომენტარების აღრიცხვაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა სთხოვოს დაინტერესებულ მხარეებს წერილობითი ფორმით გამოაგზავნონ საკუთარი შენიშვნები.

IX. სამუშაო ჯგუფის მიერ კერძო სექტორიდან მიღებული კომენტარების განხილვა უნდა ხდებოდეს ნათელი და საჯარო კრიტერიუმების მიხედვით.

X. კერძო სექტორიდან მიღებული კომენტარების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში უნდა ხდებოდეს უარის არგუმენტირებული, წერილობითი დასაბუთება.

კერძო-საჯარო დიალოგის ბარიერი (2014-2016)

საგადასახადო კოდექსი – კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი, ესტონური მოდელი




საგადასახადო კოდექსი – კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი, ესტონური მოდელი	34
---	----

კანონი ინოვაციების შესახებ




კანონი ინოვაციების შესახებ	30
----------------------------	----

ნარჩენების მართვის კოდექსი




ნარჩენების მართვის კოდექსი	25
----------------------------	----

კანონი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ




კანონი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ	24
--	----

კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ – ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაცია




კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ – ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაცია	23
---	----

საქართველოს საგადასახადო კოდექსი – საფონდო ბირჟა




საქართველოს საგადასახადო კოდექსი – საფონდო ბირჟა	23
--	----

კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ – ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაცია



კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ – ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაცია	21
---	----

კანონი მენარმეთა შესახებ - მცირე წილის მქონე აქციონერების დაცვა




კანონი მენარმეთა შესახებ - მცირე წილის მქონე აქციონერების დაცვა	20
---	----

კანონი მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ




19

კანონი საჯარო რეესტრის შესახებ – არაქართველ მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია




16

კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ




16

კანონი გადახდისუუნარობის შესახებ – მოვალეებს შეუძლიათ მოითხოვონ რეაბილიტაცია ან გაკოტრება




15

კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ – გამარტივებული პროცედურები 2015 წლის 1 მარტამდე




13

კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს – უძრავი ქონების ფლობა უცხოელების მიერ




9

საგადასახადო კოდექსი – აქციზის გადასახადი მობილურ კომუნიკაციაზე




9

საგადასახადო კოდექსი – საშემოსავლო გადასახადი და საფოსტო გზავნილები




6

კანონი ეროვნული ბანკის შესახებ – გარიგებები უცხოურ ვალუტაში




3

კანონი საჯარო რეესტრის შესახებ – სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია




2

კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ გამარტივებული პროცედურების გადამწევა




2

კანონი საჯარო რეესტრის შესახებ – განუკარგავი მიწების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა




1

კანონი საჯარო რეესტრის შესახებ – სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია




1

კანონი მენარმეთა შესახებ – შპს-ების/მეწილეების პასუხისმგებლობის შემცირება




1

საგადასახადო კოდექსი – ქველმოქმედება



1

საგადასახადო კოდექსი – ჰიბრიდული ავტომანქანები



1

წყარო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების პირველი წლიური ანგარიში (2014-2016), ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/mDajEa>



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. გრიბოედოვის ქუჩა 3, 0108, თბილისი, საქართველო

+995 322 92 15 14 | info@idfi.ge

www.idfi.ge